

# ინსტრუქცია და ტესტური დავალებათა ნიმუშები

## მათემატიკა

### კადეტთა სამხედრო ლიცეუმი

#### ინსტრუქცია

ტესტი 25 ამოცანისაგან შედგება. ყოველი ამოცანის პირობას თან ახლავს 4 სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. ეს ამოცანები ფასდება 2 ან 0 ქულით.

სწორი პასუხები უნდა მონიშნოთ პასუხების ფურცელში ისე, როგორც ეს პირველი ამოცანისათვის არის ნაჩვენები. თუ თქვენ შეცდომით მონიშნეთ პასუხი, უფლება გეძლევათ გამოასწოროთ თქვენი შეცდომა. ამისათვის სრულად უნდა გააფერადოთ აღნიშნული უჯრა ისე, როგორც ეს მესამე ამოცანისათვის არის ნაჩვენები და შემდეგ მონიშნოთ ამ ამოცანის სწორი პასუხის თქვენთვის სასურველი ვარიანტი.

	1.	2.	3.	4.	5.
ა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
ბ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
გ	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
დ	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

მიაქციეთ ყურადღება, რომ ნახაზები, რომლებიც ახლავს ზოგიერთ ამოცანას, არაა შესრულებული ამოცანის პირობაში მითითებული ზომების ზუსტი დაცვით. ამიტომ მონაკვეთების სიგრძის ან სხვა სიდიდეების შესახებ დასკვნის გამოტანისას ნუ დაეყრდნობით ნახაზის ზომებს. ყურადღება გაამახვილეთ ამოცანის პირობაზე.

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი.

გისურვებთ წარმატებას !

---

**ამოცანა 1****2 ქულა**

წინო 5 გვერდის წაკითხვას 18 წუთს ანდომებს. რამდენ გვერდს წაკითხავს ის 3 საათში?

ა) 45

ბ) 50

გ) 48

დ) 54

---

**ამოცანა 2****2 ქულა**

იპოვეთ  $1; 3; m; 10; m$  რიცხვითი მონაცემების საშუალო, თუ ცნობილია, რომ ამ მონაცემების მოდა 8-ის ტოლია.

ა) 7

ბ) 5,5

გ) 5

დ) 6

---

**ამოცანა 3****2 ქულა**

$$\begin{cases} 3x+5 > 0 \\ 2x-15 < 0 \end{cases}$$
 უტოლობათა სისტემის ყველა მთელ ამონახსნთა ჯამია:

ა) 27

ბ) 24

გ) 20

დ) 11

---

**ამოცანა 4****2 ქულა**

$A(2; k)$  წერტილი მდებარეობს  $y = 2x + 1$  ფუნქციის გრაფიკზე. იპოვეთ  $k$ -ს მნიშვნელობა.

ა) 3

ბ) 4

გ) 5

დ) 6

---

**ამოცანა 5****2 ქულა**

მოცემულია სიმრავლეები  $M = \{3; 4; 6; 12; 20\}$  და  $K = \{0; 3; 12; 19; 21\}$ . რამდენი ელემენტისგან შედგება  $M$  და  $K$  სიმრავლეების გაერთიანება?

ა) 2

ბ) 6

გ) 8

დ) 10

---

**ამოცანა 6****2 ქულა**

ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედის უდიდესი გვერდი 12 სმ-ის ტოლია. იპოვეთ ამ სამკუთხედის ფართობი.

ა)  $36\text{სმ}^2$ ბ)  $24\text{სმ}^2$ გ)  $18\text{სმ}^2$ დ)  $6\text{სმ}^2$ 

---

**ამოცანა 7****2 ქულა**

$ABCD$  ტოლფერდა ტრაპეციაში  $\angle A$ -ს გრადუსული ზომა ისე შეეფარდება  $\angle C$ -ს გრადუსულ ზომას როგორც 1:3-ს. იპოვეთ ამ ტრაპეციის დიდი ფუძის სიგრძე, თუ მცირე ფუძის სიგრძეა 2 სმ, ხოლო სიმაღლე - 3 სმ.

ა) 5 სმ

ბ) 8 სმ

გ) 6 სმ

დ) 10 სმ

პასუხები

1	2	3	4	5	6	7
ბ	დ	ა	ბ	ბ	ა	ბ